№ 256 11 ქრისტეშობისთვე, სამშაბათი 1866—1879 11 ქრისტეშობისთვე, სამშაბათი № 256

რედაქცია: ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Гифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლის — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ... ასო-ებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## „დროების“ რედაქცია გარდავიდა

ერევნის მაედანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლებში, № 2.

მომავალ 1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверiи“.

### ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ — ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირება — 5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

ოთხშაბათს, 12 დეკემბერს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

## ბედნიერი ქალი

ახალი კომედია ორს მოქმედებად

II

## ნება მიბოძეთ, ბატონო!

ვოდევილი ერთ მოქმედებად გადმოკ. თ. ივ. კერესელიძისაგან

III

## ცელქები

ვოდევილი ერთ მოქმედებად

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—2)

## საქართველო

### დღიური

*** გავლილ პარასკევს 7 დეკემბერს იყო ჩვეულებრივი სხდომა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც უფ. მაროზმა წაიკითხა სტატია შესახებ ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში კალიის ამოწყვეტისა.

ამას გარდა საზოგადოებას ჰქონდა მოლაპარაკება სამს სხვა საგანზედ: უფ. ბუშეკის დაჯილდოებაზედ ხილის გამოფენის გამართვისათვის, აგრონომების გაგზავნაზედ სხვა-და-სხვა კავკასიის მხრის მეურნეობის ასაწერად და საზოგადოების წერილებში ადგილობრივ გაზეთებიდამ სამეურნეო კორრესპონდენციების გადმობეჭდვაზე.

პირველი საგნის შესახებ საზოგადოებამ გარდაწყვიტა: იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ თფილისში ხილის გამოფენის გამართვისათვის რაიმე ჯილდო მიეცეს ვლადიკავკაზის მცოდნე მებაღეს უფ. ბუშეკს.

მეორე საგნის თაობაზე საზოგადოებამ ეს გადაწყვეტილება დასდვა; იშუამდგომლოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობის წინაშე, რომ თავის ნასწავლი აგრონომები გაგზავნოს იმან კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეებში ადგილობრივ მეურნეობის ხასიათის ასაწერად.

ბოლოს, მესამე განჩინება საზოგადოებისა ის იყო, რომ ჩვენს წერილებში გადმოვბეჭდოთო ყველა ის კორრესპონდენციები და სტატიები, რომელიც ადგილობრივ რუსულ და ქართულ-სომხურს გაზეთებში იქნება დაბეჭდილი და რომელიც მეურნეობას შეეხებაო.

*** ისმის, რომ როდესაც ახალი დიდი თეატრი აშენდება, ახლანდელი საზაფხულო თეატრი ქართველებსა და სომხებს გარდაეცემათ სამუდამო ტრუპპისათვისაო, რომელთაც მუქთად შეეძლებათ იქ წარმოდგენების გამართვაო. ეს, რაღა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო რამ იქნება. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ქართული და სომხური

ტრუპპა ყოველ წარმოდგენაში უფ. პალმს, რომელსაც იჯარითა აქვს ეს თეატრი აღებული, ორას მანეთს აძლევენ; ამას დაუმატეთ კიდევ სხვა ხარჯი; და, თუ იმასაც მიიღებთ მხედველობაში, რომ ხან-და-ხან ქართულ წარმოდგენებზე, სამწუხაროდ, ერთობ ცოტა ხალხი დაიარება, მაშინ გაიგებთ, რომ ტრუპპა სანატრელ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, ყელთამდინ ფულში არ უნდა ცურავდეს და თუ ასე წავიდა იმის საქმე, შესაძლებელია, რომ კიდეც დაიშალოს.

ამისთანა მდგომარეობაში მუქთი სახლის შოვნას ჩვენი ტრუპპისათვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნება.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ახალი თეატრის აშენება ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, რადგან ხაზინაში ამისათვის თავისუფალი ფული არ მოიპოვება...

*** თელავიდამ გვწერენ, რომ ერთს იქაურ მებატონეს, სახელდობრ თ. ტიტიკო ვახვახოვს, შეუწირავს შკოლისათვის ერთი დიდი, კარგი სახლი ქ. თელავში, იმ პირობით რომ ამ შკოლაში მხოლოთ ქართველ ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები გამოიზარდონ.

ეს პირველი მაგალითია, მგონია, რომ ჩვენებური თავადიშვილი ამისთანა ქველ და კეთილ საზოგადო საქმისათვის ამდენს სწირავს.

ამ შეწირვისათვის თ. ტიტიკო ვახვახოვი, რასაკვირველია, საზოგადო მადლობისა და თანაგრძნობის ღირსია. იმედიცა გვაქვს, რომ ეს ამისთანა სანაქებო საქმე წაუბაძავად არ დარჩება.

ჩვენ მხოლოთ არ მოგვწონს ის პირობა, რომელიც თ. ტ. ვახვახოვს დაუდვია ამ შეწირვის დროს; რა საჭირო იყო მაინცა-და-მაინც თქმა და პირობად დადება, რომ მხოლოთ ღარიბ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისთვისო? უკეთესი იქნებოდა, რომ შეეწირა საზოგადოთ ღარიბ ქართველთა შვილებისათვის... ქართველებში გარჩევა არ უნდა იყოს; გლეხიცა, აზნაურიც და თავადიც ყველა ერთის მიწის შვილნი ვართ და ყველას ერთნაირად გვეჭირება სწავლა-განათლებაში კეთილ ხალხთაგან დახმარება...

## „დროების“ კორრესპონდენცია

**რაჭიდგან, 1 დეკემბერს.** ამას წინეთ დიდი მოლაპარაკება იყო ლეჩხუმში შესახებ დაბა ლაილაშიდგან სოფ. ცაგერას მაზრის სამმართველოს და მომრიგებელი სასამართლოს გადატანისა. ამ საგანზედ გაზეთებშიაც კი იყო პოლემიკა გამართული.

ლეჩხუმის მაგალითმა ზოგიერთი რაჭველებიც გაიტაცა. ამბობენ, ვითომც ქვემო რაჭველებს ეთხოვნოს მთავრობისათვის ადმინისტრაციის და სასამართლოს ცენტრის გადატანა დაბა ონიდგან რომელიმე ქვემო რაჭის სოფელში.

ბუშინ მე დავესწარი ამ საგანზე ორი კაცის, ერთი ქვემო რაჭველის და მეორე ზემო რაჭველის ბაასს, რომელიც მსურს გარდავსცე მკითხველებს.

**ზემო-რაჭველი.**—ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ვის ჰსურს, რომ ონიდგან სასამართლო გადიტანონ?

**ქვემო-რაჭველი.** — რავა ვისა სურს? მთელს ქვემო-რაჭას. გავწყდით წელში, ბატონო, ონში სიარულით. ღმერთმა დაუმადლოს ჩვენს ახალს უეზდის მარშალს, სულ იმან აღძრა ეს საქმე და როგორც გავიგე, თურმე ზოგიერთ ჩინოვნიკებსაც ძალიან სურსთ ქვე-რაჭაში დაბინავება.

**ზ.**— ეს ძალიან კარგი, მაგრამ ქვემო-რაჭას შეადგენს **11** სოფლის საზოგადოება და ზემო-რაჭას **17**; ამასაც რომ ო[...]ეთის სოფ[...]ები დაამატო, რომელიც რაჭაზე არიან მოწერილი, მაშინ ზემო-რაჭას შეადგენა **22** საზოგადოება;

# ფელეტონი

## მასწავლებლის დღიურიდგან

187... 18 იანვარი.

დღეს უფროსი ქ. შემოვიდა ჩემთან, როცა მეორე კლასში ვასწავლიდი ყმაწვილებს. ლაპარაკი ქათამზედ და წიწილის გამოტეხაზედ გვქონდა. მე ლიუბენის წიგნი ხშირად დამაქვს კლასში, რადგან იქ ბევრი კარგი სურათებია და სხვათა შორის წიწილიანი კვერცხიც. ვუჩვენე ყმაწვილებს ქათმის კვერცხის სურათი, სადაც ცხადად არის გამოხატული ხეპჭო, აპკი, ცილი და გული,— თვითოეული ამათგანის გარჩევა შეეძლო თავისუფლად მოსწავლეს სურათზედ.

ეს მეთოდი უფროსმა არ მოიწონა:

—სურათი რა საჭიროაო, როცა რამდენჯერმე უნახავთ კვერცხი, ხელშიც ჰკავებიათ, გაუტეხიათ და უჭამიათ კიდეცაო. ეს ისარივით დამეცა გულზედ. რა უაზრობა და უზრდელობა არის მოსწავლეების წინ მასწავლებელთან დაობა და მისი მტყუნება! როგორ არ უნდა იცოდეს, რომ ამას კარგი არა მოჰყვება-რა, რომ ამით ან მასწავლებლის მნიშვნელობა და გავლენა მაგირდებზედ უნდა დამცირდეს და ან იმ უფროსის, რომელიც იმას ედავება კლასში.

საძაგელ მდგომარეობაშია ამისთანა დროს ჩავარდნილი მასწავლებელი. იმას არ უნდა თავი გაიმტყუნოს მოსწავლეების წინ; მაგრამ არც ის უნდა, რომ უფროსს გამოედავოს. ისევ გაჩუმება სჯობია, თუ მოითმინა კაცმა...

სურათის ჩვენება რა საჭირო არისო! აბა, ეს რა სათქმელია, თუ ღმერთი გრწამსთ მაშინ, როცა ვისმეს რომელიმე ბუნების საგანზე და მოვლინებაზე ელაპარაკები, განსაკუთრებით, თუ შენი მოწაფე ყმაწვილია, ჯერ კიდევ უმეცარია, გაუხსნელი და გაუვითარებელი და ამასთან უნებურად ელაპარაკები მას უცხო ენაზედ. „დაკვირვებით სწავლაში“ სურათებს ნუ იხმარო, თუ ის ნივთები, რომლებზედაც საუბარი გაქვს, უნახავს და ხელში ჰკავებია შენს მსმენელსო!? განა იმაზედ კიდევ უნდა ილაპარაკოს კაცმა, რომ შენს სიტყვებს და შენს ლაპარაკს მაშინ უფრო დიდი შთაბეჭდილება აქვს მოზარდ ტვინზედ, ის მაშინ უფრო ჩარჩება ყმაწვილს ხსოვნაში, როცა ამ დროს სურათი გიკავია ხელში და ყოველს შენს სიტყვას იმაზედ ამოწმებ!?... „დაკვირვებითი სწავლა“ მითია კარგი, რომ იქ ყველა გრძნობები იღებენ მონაწილეობას, რომ იქ სწავლობს კაცი თვალით, ყურით, ცხვირით, ენით, ხელებით (თუ ნამდვილი ნივთი გაქვს სწავლების დროს), ერთის სიტყვით მთელი სხეულით; იქ ვითარდება, ვარჯიშდება კაცის მთელი არსება—სული და ხორცი. რაღა იქმნება „დაკვირვებითი სწავლა“, თუ ამ უპირესობას წავართმევთ იმას?! ყოველისფერს თავი დავანებოთ, რათ უნდა სურათები რომ გამოუფენია კლასის ოთახში, თუ არა იმისთვის, რომ ყმაწვილებს აჩვენონ და თან ისიც განუმარტონ, რაც ზედ არის გამოხატული?!

ესევე მითხრა, ყმაწვილებს რომ ბატის სურათი ვაჩვენე, როცა იმაზე დავიწყე ლაპარაკი. ეს ორი ყოვლად-უსაფუძვლო შენიშვნა ერთ დროს ძნელი ასატანი იყო; მაგრამ არაფერი მითქვამს, ძალიან კი მეწყინა. ამას წინეთაც ასე დამიწყო ერთხელ დაობა კლასში; მაშინ მე კიდევ ახალი კაცი ვიყავი ამ შკოლაში. ბატონურის კილოთი და თითქმის

ზემო-რაჭველები უეჭველად ისურვებენ სასამართლოს ონში დარჩენას და მაშინ თქვენი სურვილი ხომ ფუჭად ჩაივლის. თუ ადმინისტრაციის და სასამართლოსთვის შუა ადგილს ეძებთ, სწორეთ ონისთანა მეორე არსად არის მთელს მაზრაში. მაგალითად აიღოთ ორი რაჭის განაპირი სოფლები, ერთი ზემოთ და მეორე ქვემოთ და გაზომოთ ონამდის და მაშინ დაინახავთ რამდენად საფუძვლიანია თქვენი სურვილი. სოფ. ღეთიდგან (ზემო-რაჭის სოფელია) ონამდის ითვლება 44 ვერსი; ღვარდიიდგან ონამდის 47. როგორ ფიქრობ, სად უნდა გადაიტანონ სასამართლო?

ქ.— ჩემის აზრით, ან ს. ამბროლაურს, ან ქვაცხუთს.

ზ.— ეს როგორი შუა ადგილია? მაშინ ხომ ღეთიდგან, ღებითგან, გლოლიდგან ამბროლაურამდის ან ქვაცხუთამდის 60—70 ვერსი იქნება და ნიკორწმიდიდგან, ცახითდგან, ღვარდიიდგან, ტოლიდგან (ქვემო-რაჭის სოფლებია) ამბროლაურამდისვე 15—20 ვერსი! არა, ალბათ სხვა მიზეზები გექნებათ სახეში?

ქ.— ერთი მიზეზი კიდევ ის არის, რომ ქვემო-რაჭველებს უფრო ბევრი საჩივრები გვაქვს, მინამ თქვენ და გვინდა, რომ სასამართლო დავიახლოვოთ.

ზ.— ჰოო, ეგ კარგი და პატიოსანი აზრი; მაგრამ მარშალს და იმ ზოგიერთს ჩინოვნიკებს რათ ჰსურთ? ალბათ ამათ მმართებლობის ინტერესები ექნებათ სახეში?

ქ.— ნახევარზე მეტს ქვემო-რაჭას „საწულუკიძეოს“ ეძახიან, მაშასადამე უ. მარშალსაც აქვს აქ მამული და ფიქრობს, თუ ონელები ავყარე და ქვემოთ გადავასახლე, მაშინ ჩემს მამულს ფასი მოემატებაო. ჩინოვნიკებს რა მიზეზი აქვს სახეში, ამას კი ნუ მათქმევინებ ჯერ...

მე ჯერ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ხმები ნამდვილი იყოს, თორემ ბევრს რასმეს ვიტყოდი ამ საგანზე. თუ მართლა უ. უეზდის მარშალი ამ საქმეში ურევია, ყველაზე უფრო გასაკიცხავი ის იქნება. ნუ თუ იმან ამაზე მეტი საზოგადოების სასარგებლო საქმე ვერ მოიგონა! მერწმუნეთ, ეს ხმები რომ გამართლდეს, მაშინ ორ მესამედზე მეტი მთელი მაზრისა უკმაყოფილოდ დარჩება.

ჩვენს მაზრაში დიდი ყურადღების ღირსი არის მესაკუთრე გლეხების საქმეც. დროებით ვალდებულნი გლეხები ხმარობენ ყოველგვარ საშუალებას, რომ ადგილები დაიხსნან მებატონეებისაგან. ზოგიერთი მათგანი, რომელსაც ნაღდი ფული არა აქვს ბეტონის გასასტუმრებელი, ან სესხულობს 25—30%, ან ზოგიერთს იმ ადგილებს, რომელსაც იხსნის ბატონისაგან, ჰყიდის და [illegible]რად ისტუმრებს მებატონეებს.

მაგრამ აი უბედურება რაში მდგომარეობს; რადგანაც გლეხს არა აქვს უფლება კანონიერად სხვაზე მამულის გარდაცემისა, სანამ ის თვითონ დამტკიცებულს თავისუფლების საბუთს, დანნას, არ მიიღებს, აძლევს მსყიდველს პირობას, რომ თუმცა მოგყიდე ესა-და-ეს ადგილი ამდენ-და-ამდენ მანეთად და ფასიც ამ ჟამით მივიღე, მაგრამ კანონიერი საბუთი ვერ შეგისრულეო და ამისათვის ვალდებული ვარო, რომ ამა-და-ამ ვადისთვის (ვადა ექნება ერთი ან ორი წელიწადი და უმეტეს შემთხვევაში ნაკლებიც) კანონიერად დაგიმტკიცო ეს ადგილიო და თუ რაიმე მიზეზით ვერ დაგიმტკიცო, იმ შემთხვევაში შეწმიერ მოცემული ფასი დაგიბრუნო და ერთი იმდენი ჯარიმაც მოგცეო. ახლა წარმოიდგინეთ გლეხის მდგომარეობა: ის ელის საგლეხო პრისუტსტვიიდგან დანნას და როდესაც მიიღებს, მხოლოდ მაშინ შეუძლია პირობის შესრულება; მაგრამ, არა თუ ერთი და ორი, რვა-ცხრა წელიწადიც გადის, რომ ვერ ეღირსა თავისუფლების ქაღალდს. ამასობაში გლეხს თავისი და-

---

აგდებით დამიწყო დაობა, თითქო მობრძანებდა, თვარა კი არ მელაპარაკებოდა. ეს კილო ისე მეუცხოვა მაშინ, რომ ვუთხარი: მაგგვარი ლაპარაკი ჩვენ შორის კარგი არ არის-მეთქი და თქვენი ამ ყმაწვილებზედ გავლენის არ მეშინოდეს, შემიძლია მაგ ლაპარაკს მალე ბოლო მოუღო-მეთქი. ეს უთხარი და გამოვეცალე მაშინ. შემდეგ რომ მივედი უხუმრად მოსალაპარაკებლად იმავე საგანზე, სიცილით მითხრა: მე სულაც არ მქონია სახეში თქვენი წყენაო და ამაზედ ლაპარაკი არ ღირსო. კაცს მოპირდაპირის სისუსტე იარაღს დააყრევინებს; მეც ასე დამემართა მაშინ.

20 იანვარი.

საზიზღარი ამბავი მოხდება ხოლმე ხანდისხან ჩვენს ცხოვრებაში, კაცი იჭერს იმ ადგილს, რომელზედაც იმას პატიოსნად მოქმედება არ შეუძლია. კაცი ერთობ გაუმაძღარი და თავ-მოყვარეა. ეს თავ-მოყვარეობა თუ წრეს გარდასცილდა, საძაგელი რამეა. ეს არის კაცის ამმაღლებელიც და დამამცრობელიც, ეს შეჰქმნის კაცს მეფედ და მონად. ის კაცი არას ვარგა, რომელშიაც თავ-მოყვარეობა არ არის, მაგრამ ის კაციც საძაგელია, რომელიც მარტო თავ-მოყვარეობით ხელმძღვანელობს ცხოვრებაში, რომლის მოქმედებას ერთად-ერთი-და ისიც ვინ იცის როგორი-თავ-მოყვარეობა მართავს. კარგი იქმნება, ყოველი კაცი რომ ზომიერი იყოს თავის მოთხოვნილებაში და ხელს რომ მარტო იმ საქმეს ჰკიდებდეს, რომლის გაკეთებაც შეუძლია! მაშინ ხომ ამდენი უწესოება აღარ იქმნებოდა!

კაცი უნდა იცნობდეს თავის თავს, თავის ღონეს, შეძლებას, ნიჭს და ცოდნას, გამოცდილებას. ასე თავის მცოდნე კაცი, თუ პატიოსანიც არის, თავის დღეში არ შესცდება ადგილის არჩევანში; ის ყოველთვის იმ ადგილზედ დადგება, სადაც მისი ცოდნის და ნიჭის პატრონი უნდა დადგეს, თუ უნდა, რომ სარგებლობა მოიტანოს. იტყვიან—ადგილი კი არ ამშვენებს კაცს, კაცი ამშვენებს ადგილსაო. ეს სწორედ ნამდვილია. როგორც ვირს ოქროს უნაგირი არ მოუხდება, ისე არ მოუხდება კარგს ადგილს ცუდი, უკადრისი კაცი.

ხომ სამღთო ადგილია მღვდლის ადგილი. მაგრამ ის ეშმაკის ადგილად მოეჩვენება კაცს, თუ ულირსი მღვდეილა ზედ. დიდი და მრავალ-მნიშვნელოვანი ადგილია მასწავლებლის ადგილი; ეს ის ნიადაგია, სადაც ახალმა, ნორჩმა მცენარემ, კაცს რომ ეძახიან, ფესვები უნდა გაიდგას, ამოვიდეს, გაიზარდოს და, კაცს, ამ ღვთისგან ნაშვილებს რომ შეჰფერის, იმისთანა ნაყოფი გამოიღოს. მაგრამ ცუდი, უმეცარი, უნალველო და დაუდევნელი მასწავლებელი ამ ადგილს გახდის ადგილად სიკვდილისა, განხრწნილებისა; იქ, სადაც თესლი უნდა ამოდიოდეს და იზრდებოდეს რიგიანად; სიკვდილი, ბნელი მოიკავებს ფართო ადგილს.

ცუდი მასწავლებელი შეაძულებს ყმაწვილს სწავლას, მეცნიერებას—ამ წყაროს ბედნიერებისას — შეაძულებს ღმერთს, კაცს, შეაძულებს თვით სიცოცხლესაც, მაშინ როდესაც მისი პირდაპირი მოვალეობა სულ ამის წინააღმდეგს მოითხოვს მისგან..... სწორედ ამისთანა მასწავლებლებს ეკუთვნისთ მოძღვართ-მოძღვარის სიტყვები:

„ვაი თქვენდა, მოძღვარნო, რამეთუ დამალენით კლიტენი მეცნიერებისანი, თქვენ შეარახვალთ და შემავალთა აყენებთ.“

მართეს: წამოუსვა ხელი მსყიდველმა ანუ სხვა მოვალემ და მთელი მამული გაუყიდა!

გლეხს რომ დანნა თავის დროზე მოსვლოდეს, ეს აღარ დაემართებოდა; თავის სურვილით რომ ერთი ნაკვეთი ადგილი გაეყიდა, ის გაისტუმრებდა იმ ვალს, რომელშიაც ხუთი და ათი ნაკვეთი ძალით გაუყიდეს.

როგორც მახსოვს, ამას წინეთ მოხდა ამაზე უმაღლესი მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც თითოეულს უეზდში მომრიგებელს მოსამართლეს უნდა შეესრულებინა თავ-დახსნილის გლეხების საბუთები და რაც შეიძლებოდა მალე დაეკმაყოფილებინა ამ გლეხების მოთხოვნილება, რადგანაც საგლეხო პრისუტსტვიაში და ნოტარიუსებთან ერთობ დიდხანს აჩერებდნენ საქმეს. ამ მთავრობის კეთილი განზრახვით რაჭველ გლეხებს არა მოუგიათრა. ეს ერთი წელიწადი გადის მას აქეთ, რაც რაჭის მომრიგებელ სასამართლოში 300-მდი ხელ-უხლებლად აწყვია დ ო გ ო ვ ო რ ე ბ ი და გლეხები კი დღესხვალიობით ელიან თავიანთ საბუთებს.

როგორც მითხრეს, ჩვენი მოსამართლე არ აპირებს ამ დ ო გ ო ვ ო რ ე ბ ი შესრულებას; ამბობს, მომრიგებელი მოსამართლის საქმე არ არის ამათი შესრულებაო; სადაც კი არის ნოტარიუსი, იქ იმან უნდა შეასრულოსო და რომელს უეზდშიაც არ არის ნოტარიუსი და მისს მოვალეობას მოსამართლე სრულებს, იქ არის მხოლოდ ამ უკანასკნელის საქმე დაწენბის შესრულებაო. ამ საგანზე მიწერ-მოწერა არისო, მაგრამ ვინ იცის როდის გათავდება ეს მიწერ-მოწერა! სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გაძვრება.

X.


# განცხადებანი

ამ დეკემბრის 15-ს გამოვა

## საუკუნო კალენდარი

შედგენილი კალოუბნის მღვდლის გაბრიელ სოფრომიძისაგან

ფასი ათი შაური

ამას გარდა იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის ორი წიგნი:

## სიზმრის ახსნა

ფასი 20 კაპ.

და

## ასით სამღერალი

ფასი 15 კაპ.

მსურველთ შეუძლიანთ ყველა ეს წიგნები მოითხოვონ გამომცემლისაგნ კალოუბნის ეკკლესიიდამ.

(6—2)

## ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(Газетное Агентство В. Шавердова)

თ ფ ი ლ ი ს შ ი

(გოლოვინის პროსპექტი, შავერდოვის სახლებში)

იღებს: ხელის-მოწერას რედაქციის ფასით ყველა სატახტო ქალაქებისა, უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივ გაზეთებზე და ჟურნალებზე.

ხელის-მოწერა მიიღება იმ პირობით, რომელსაც რედაქციები აცხადებენ და იმ ვადით, რა ვადითაც გამომწერი ისურვებს.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. უცხო ქვეყნისა და ოფიციალურ გამოცემების გამომწერთ სააგენტო გარდაახდევინებს მცირე კომისიის ფულს ფოჩტის ხარჯად. გაზესთის სააგენტო ხელის-მომწერს წარუდგენ რედაქციიდამ მიღებულს კვიტანციას ფულის შეტანის თაობაზედ.

ამ სააგენტოს საშუალებით გამოწერა გაზეთებისა და ჟურნალებისა განსაკუთრებით იმათთვის არის სასარგებლო, ვინც რამდენსამე გამოცემას ერთად დაიბარებს ხოლმე.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მომართონ სააგენტოს: Въ Тифлисъ. Въ Газетное Агентство В. Шавердова.

(3—3)


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესახ, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 30 ნოემბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 50 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 10 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 70 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 80 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 40 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 40 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 8 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო საშუალო ფუთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დის.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თს: ლისიცევი—შინაგ, ასტავცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.;ყურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декабръ 1879 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი რედ. ს. მესხი